UDC 339.15
SCOPUS CODE 1404
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-46-54

აზიის რეგიონის ქვეყნების მმართველობის ელექტრონული გარდაქმნა და საქართველოს ადგილი ამ პროცესში

სოფიო ფალიანი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: paliani.sopio22@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. ჩიკვილაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

ნ. ფარესაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: Nino.paresashvili@tsu.ge

ანოტაცია. მმართველობის ელექტრონული ანუ ციფრული გარდაქმნის მიმდინარეობა მნიშვნელოვანია აზიის რეგიონის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. კვლევა ჩატარდა ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსით [EGDI], რომლის ნორმატივია ერთი მთელი [EGDI=1,1000]. ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კვლევათა ზუსტი წყაროა. შესაბამისად, იგი საუკეთესო ინდიკატორია განვითარებისა და გარდაქმნების დონეთა საზომად. წარმოდგენილია აზიის რეგიონის ოცდაორი ქვეყანა, რომლებიც 2020 და 2022 წლებში ამ ინდექსით მაღალ დონეს აჩვენებდა. მათ შორის იყო საქართველოც. საქართველოს ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი 2020 წელს 0,7174-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს – 0,7501-ს. ამ მაჩვენებლით საქართველოს 2020 წელს ეკავა ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის ნორმატივის 71,7%, 2022 წელს კი – 75%. მიმდინარე მაჩვენებელი დინამიკურია და საქართველო წინ უსწრებს სომხეთსა და აზერბაიჯანს.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა; ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი; EGDI-ის ნორმატივი.

შესავალი

ელექტრონული მმართველობის იდეა მე-20 საუკუნის მიწურულს გაჩნდა, ხოლო პრაქტიკული და-

ნერგვა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. ცხადია, მისი დანერგვის პიონერები მაღალგანვითარებული ქვეყნებია. „ელექტრონული მმართველობა მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის ეფექტურობისა და ეკონომიურობის გაზრდას“ (Kardava, და სხვ., 2021). თანამედროვე მენეჯმენტისა და სისტემატიზაციის ჩართულობით ერთ სივრცეში თავმოყრილი ინოვაციური პროგრამები ქმნის მრავალგვარი მომსახურების თუ პროდუქციის უსაფრთხოდ და სწრაფად მიწოდების გარანტიას. ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის ინოვაციური ტექნოლოგიებით განხორციელება არსებითად ცვლის მის მომავალს. ასე იყო ადრეც და ასეა დღესაც. სხვადასხვა ელექტრონული სერვისი აქტიურად იკიდებს ფეხს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში. საზოგადოების მხრიდან კი „გაციფრებაზე“ მოთხოვნა 40%-მდე გაიზარდა, შესაბამისად იზრდება ქვეყნის ჩართულობის დონე მსოფლიო ელექტრონული მმართველობის სისტემაში. აღნიშნული ფაქტი სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსებში აისახა.

მსოფლიო ისტორია კაცობრიობის განვითარების ხუთ ეტაპს იცნობს (უძველესი პერიოდი, ძველი პერიოდი, შუა საუკუნეები, ახალი პერიოდი და უახლესი პერიოდი). განვითარების ეტაპები ერთმანეთისგან ძირითადად გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიებით განსხვავდება და ყველა დანარჩენი სახესხვაობა მას ეფუძნება. დღეს კაცობრიობა უახლეს პერიოდში ცხოვრობს. მისი პერიოდიზაცია ასეთია: 1918–1945 წლები; 1946–1991 წლები; 1992–2022 წლები. უახლესი პერიოდის ბოლო მონაკვეთი, ე.ი. 1992–2022 წლები ფაქტობრივად ჩვენი თანამედროვეობაა და ლიტერატურაში ცივი ომის შემდგომ პერიოდად იწოდება. „მეორენაირად მას გლობალიზაციის ეპოქად მოიხსენიებენ“ (Davitashvili, 2001, გვ. 7).

განსახილველი საკითხი „გლობალიზაციის ეპოქის“ პირმშოა, რადგან მმართველობის ელექტრონული გარდაქმნა ჩვენი თანამედროვეობაა და ციფრული კულტურის დამკვიდრების პროცესი დინამიკურად მიმდინარეობს მოქალაქეებში, ორგანიზაციებში, ქვეყნებში, გლობალურ რეგიონებსა და მთლიანად მსოფლიოში. ელექტრონული მმართველობის პირობებში ყალიბდება ცოდნის ახალი სისტემა, ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სივრცეები. „ინფორმაციული აფეთქების“ კვალდაკვალ ანთროპოლოგიაშიც მკვიდრდება ცნება ახალი ადამიანი. წარმოგიდგენთ საერთაშორისო ინდექსის შესაბამისად მომზადებულ ინფორმაციას აზიის რეგიონის ქვეყნების მმართველობის ელექტრონული გარდაქმნის შესახებ და გავაანალიზებთ საქართველოს ადგილს მიმდინარე „გაციფრების“ პროცესში.

ძირითადი ნაწილი

უპირველესად განვიხილავთ მსოფლიოს ქვეყნების რეგიონიზაციას და საქართველოს ელექტრონული მმართველობის რეგიონალურ ჭრილში განხილვის მნიშვნელობას, შემდგომ ავხსნით „გაციფრების“ არსს და ბოლოს, უშუალოდ სტატიის თემასთან მიმართებაში, საერთაშორისო ინდექსებში ფიქსირებულ ინფორმაციას.

მსოფლიოს ქვეყნების რეგიონიზაცია ხორციელდება სხვადასხვა ნიშნით და გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით. გეოგრაფიული, ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ნიშნით გამოყოფენ თხუთმეტამდე ძირითად რეგი-

ონს. გეოგრაფიული ნიშნით მსოფლიო ხუთ ერთეულად იყოფა. ამ ხუთი ერთეულის (ევროპა, აზია, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ოკეანეთი) გლობალურ რეგიონებად ფორმირების საფუძველი შემოიფარგლება არა მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ისინი ერთიანდება ისტორიული, კულტურული და სხვა ფაქტორებითაც. ამდენად, ამა თუ იმ ქვეყნის ელექტრონული მმართველობის განვითარების მაჩვენებლის და „გაციფრების" პროცესში საქართველოს ადგილის შესახებ მსჯელობისას საკითხი განიხილება რეგიონთან ერთად, საქართველო კი აზიის რეგიონის შემადგენლი ქვეყანაა.

აზიაში, ისე როგორც სხვა გეოგრაფიულ ერთეულებში, ქვეყნების მმართველობის ელექტრონული გარდაქმნა ანუ „გაციფრება" დაწყებულია და, ცხადია, ეს პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობს. აზიის ისტორიული, მრავალეთნიკური და მულტირელიგიური რეგიონი ცივილიზაციათა აკვანია. ეს გლობალური რეგიონი არის ერთგვარი აკუმულატორი, რადგან მოიცავს დედამიწის ხმელეთის ფართობის 30%-ს და მსოფლიოს მოსახლეობის 60%-მდე ამ ტერიტორიაზე სახლობს. საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში აზიურ სივრცესთან მჭიდრო და უწყვეტი კავშირი ჰქონდა. სწორედ, რომ საქართველოში, აზიის და ევროპის გასაყარზე, ჩამოყალიბდა ცივილიზაციათა დიალოგის ეპიცენტრი. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია "აბრეშუმის გზა". XX საუკუნის მიწურული და XXI საუკუნის დასაწყისი აზიის რეგიონისთვის და განსაკუთებით საქართველოსთვის დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ხანა აღმოჩნდა. ზემოთ მოყვანილი და სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, მნიშვნელობა ემატება საქართველოს ელ-მმართველობის განვითარების ინდექსს და მის ადგილს რეგიონის სარეიტინგო სიაში.

„გაციფრების" და მისი შემადგენელი ერთეულის, ელექტრონული მმართველობის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა გასული საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო მიღწევებმა. ეს ის პერიოდია, როდესაც სამეცნიერო სიახლეებით ინტერესდება ქვეყნებიც და მეწარმეებიც, ყალიბდება ახალი დარგი, მენეჯმენტი და იქმნება პირველი თაობის გამომთვლელი მანქანები. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერებმა შეიმუშავეს მართვის ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომები, შეიქმნა პირველი თაობის კომპიუტერი და განისაზღვრა მისი გამოყენების არეალი. 1970-იან წლებში ამოქმედდა პირველი საკომუნიკაციო ქსელი და ინტერნეტი გახდა მეოცე საუკუნის რეალობის „დიდი გარღვევა", რადგან მოწყობილობების გაერთიანებამ განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ელ-კომუნიკაციის მომავალი. მოცულობითი ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრა და გამჭვირვალობა ინფორმაციული რევოლუციის გაჩენის წინაპირობა გახდა. ტექნოლოგიური სიახლით მეცნიერებს გლობალიზაციის ისტორიული პროცესის ყველაზე აქტიური ფაზის განმარტების, კვლევისა და პროგნოზირების საშუალება მიეცათ. უშუალოდ „ციფრული რევოლუცია" XX საუკუნის მიწურულს დაიწყო, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა, მმართველობის განახლების მიზნით, რეფორმების განხორციელება დაიწყეს. მალევე, ათ წელიწადში დაიწყო

ელსახელმწიფოს ცნების მოაზრება-ფორმირების პროცესი და „გაციფრების“ პრაქტიკაში დანერგვა. XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა ქვეყნებმა მიიღეს კანონი ელმმართველობის შესახებ, სისტემის არეალი გაფართოვდა და განვითარებადი ქვეყნებიც მოიცვა.

ციფრული მმართველობა არის მართვის თანამედროვე სახეობა, გლობალური, ერთიანი ციფრული ბაზის მრავალფუნქციური ელემენტი, რომელიც ეფუძნება ICT-ს (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) და მსოფლიო მასშტაბით „ონლაინრეჟიმში“ არეგულირებს ურთიერთობას მთავრობებს, საზოგადოებასა და ორგანიზაციებს შორის. ელმმართველობის მიზანი გლობალური პოლიტიკური ურთიერთობებისა და ურთიერთქმედების ახალი ფორმის ჩამოყალიბებაა როგორც ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, ისე მთელ მსოფლიოში. ციფრული მმართველობა სისტემატიზაციით ითავსებს საყოველთაოდ მნიშვნელოვან მიზნებს, ფუნქციებს და ამოცანებს, კომპლექსურად განსაზღვრავს მიმდინარე და ისეთი არსებითი პარადიგმების გადაწყვეტის მექანიზმებს, როგორიცაა საზოგადოებისა და ორგანიზაციებისთვის სერვისების მიწოდების ოპტიმიზაცია, თვითმომსახურების განვითარება და ხარჯების მინიმიზაცია, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვა ეთნოსებსა და ქვეყნებს შორის, საზოგადოებაში ტექნოლოგიური ცნობიერების ამაღლება და მრავალი სხვა. დღეს ელმმართველობის განვითარება „გაციფრების“ პარალელურად მიმდინარეობს. AI (Artificial Intelligence – ხელოვნური ინტელექტი) აქტიურად იჭრება საჯარო მმართველობაშიც. ჩამოყალიბდა ცვალებადი მოდელების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის ხანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ელმმართველობა დროდადრო მოითხოვს ციფრული უფლებების, საერთაშორისო და შიგა სამართლებრივი აქტების მიმდინარე პროცესის შესაბამის ცვლილებას და რეგულირებას.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი საერთაშორისო ინდიკატორია, რომელიც დღეის მდგომარეობით საუკეთესო საშუალებაა განვითარების დონის ფიქსირებისთვის, შედარებითი ანალიზისა და სამომავლო პროგნოზირებისთვის. ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის ნორმატივის მაქსიმალური სიდიდე ანუ ნორმატივია 1.000 [EGDI =1,000]. ეს არის უნივერსალური საშუალება, აღნიშნული კი განპირობებულია მასში თავმოყრილი ქვეინდიკატორების საშუალებით. ამ ნორმატივით განვითარებისა და გარდაქმნის მდგომარეობა კონტროლდება კომპლექსურად, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდექსი შედგება მნიშვნელოვანი ქვეკომპონენტებისგან, რომლებიც ასევე ციფრებში აფიქსირებს სახელმწიფო, ადამიანური და საკომუნიკაციო რესურსის განვითარების დონეს. EGDI-ს შემადგენელი ქვეინდიკატორებია:

- OSI – ონლაინსერვისების ინდექსი;
- HCI – ადამიანური კაპიტალის ინდექსი;
- TII – სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინდექსი.

N	ქვეყნების დასახელება	სუბრეგიონი	EGDI	ათვისება %	ზრდა+ კლება-
1	კორეა	აღმ. აზია	0.9529	95.3 %	-0,0031
2	სინგაპური	სამხ-აღმ.აზია	0.9133	91.3 %	-0,0017
3	არაბთა ემირატები	დას. აზია	0.9010	90.1 %	+0,0455
4	იაპონია	აღმ. აზია	0.9002	90 %	+0,0013
5	ისრაელი	დას. აზია	0.8885	89 %	+0,0524
6	კვიპროსი	დას. აზია	0.8660	86.6 %	-0,0071
7	ყაზახეთი	ცენტრ. აზია	0.8628	86.3 %	+0,0253
8	საუდის არაბეთი	დას. აზია	0.8539	85.4 %	+0,0548
9	ჩინეთი	აღმ. აზია	0.8119	81.2 %	+0,0171
10	თურქეთი	დას. აზია	0.7983	79.8 %	+0,0265
11	ომანი	დას. აზია	0.7834	78.3 %	+0,0085
12	მალაიზია	სამხ.-აღმ. აზია	0.7740	77.4 %	-0,0152
13	ბახრეინი	დას. აზია	0.7707	77 %	-0,0446
14	ტაილანდი	სამხ.-აღმ. აზია	0.7660	76.6 %	+0,0095
15	საქართველო	დას. აზია	0.7501	75 %	+0,0327
16	კუვეიტი	დას. აზია	0.7484	74.8 %	-0, 0424
17	სომხეთი	დას. აზია	0.7364	73.6 %	+0,0226
18	ბრუნეი	სამხ.-აღმ.აზია	0.7270	72.7 %	-0,0115
19	უზბეკეთი	ცენტრ. აზია	0.7265	72.6 %	+0,0600
20	მონღოლეთი	აღმ. აზია	0.7209	72 %	+0,0712
21	ინდონეზია	სამხ.-აღმ. აზია	0.7160	71.6 %	+0,0546
22	კატარი	დას. აზია	0.7149	71.5 %	-0,0024

(https://publicadministration.un.org/, 2022)

სპეციალური გამოკვლევით, რომელიც აზიის რეგიონში ჩაატარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2020 და 2022 წლებში, აღმოჩნდა, რომ აზიის ქვეყნებიდან 22 ქვეყანას ჰქონდა EGDI ინდექსის (ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი) ყველაზე მაღალი დონე. ცხრილში თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლები:

1. უმაღლესი EGDI ინდექსის მქონე აზიის 22 ქვეყნის დასახელება;

2. ყველაზე მაღალი დონის მქონე აზიის 22 ქვეყნის სუბრეგიონები;

3. აზიის 22 ქვეყნის EGDI-ის მნიშვნელობა 2022 წელს;

4. EGDI ნორმატივის ათვისების მაჩვენებელი პროცენტებში (%);

5. EGDI ინდექსის ზრდისა და კლების მაჩვენებლები 2020–2022 წლებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად მსოფლიოში და მათ შორის აზიის გლობალური რეგიონის თითოეულ ქვეყანაში მთავრობის ელექტრონულად გარდაქმნის პროცესი დაწყებულია და აზიის ქვეყნების საერთო რიცხვიდან 22 ქვეყანას უკვე 2022 წელს ჰქონდა ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. 2024 წლის მონცემებით, გლობალურ რეგიონებში ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსთა რეიტინგში მეორე ადგილზე 0,69 მნიშვნელობით – აზია იმყოფება, მას წინ ევროპა უსწრებს – 0,84 და მესამე ადგილზეა ამერიკა – 0,67. ამას ემატება აზიის რეგიონის 14 ქვეყანაში (63,6 %) 2020–2022 წლებში მისი ზრდა. მართალია, აზიის ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში ელექტრონული მმართველობის განვითარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს და პროცესი ქვეყნების ინიციატივით არ დაწყებულა, მაგრამ EGDI-ის ნიშნულები გვიჩვენებს, რომ ისინი ახლოსაა მის ნორმატიულ დონესთან. ამდენად, „გაციფრება“ აზიის რეგიონში თავსმოხვეული აქტი არ არის, მაღალი რეინტინგი საერთაშორისო ინდექსთა ცხრილში გვიჩვენებს, რომ ეს უფრო პირადი ნების რეალიზებაა.

ცხრილში ფიქსირებული ინფორმაციით და ტერიტორიულად დაყოფის პრინციპით რეიტინგში მაღალი დონის მაჩვენებლით ლიდერობს კორეა და, მთლიანობაში, ინდექსების მიხედვით სუბრეგიონი, დასავლეთ აზია (11 ქვეყანა), მათ შორისაა საქართველოც. მეორე ჯგუფში განთავსდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (4 ქვეყანა), მესამე ჯგუფში – აღმოსავლეთ აზია (4 ქვეყანა) და მეოთხე ჯგუფში გაერთიანდა ცენტრალური აზიის ორი ქვეყანა – ყაზახეთი და უზბეკეთი. ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მქონე აზიის 22 ქვეყანა დაჯგუფდა ნორმატივთან, ე.ი. 1,000-თან მათი მიახლოების დონეები გაანგარიშებულ იქნა პროცენტულად და დაიყო შემდეგნაირად:

- ელმმართველობის განვითარების ინდექსის ნორმატივს ყველაზე მეტად მიახლოებულია კორეის რესპუბლიკა, რომლის EGDI შეადგენს 0,9529-ს ანუ ნორმატივთან მიახლოება 95,3%-ს და კორეა სარეიტინგო სიის ლიდერია.
- ოთხი ქვეყანა (სინგაპური, არაბთა ემირატები, იაპონია და ისრაელი) ნორმატივთან მიახლოებულია 89–91,3 %-ის ფარგლებში.
- მესამე ჯგუფში გაერთიანდა ის ოთხი ქვეყანა, რომლებიც ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის ნორმატივს უახლოვდება 81.2–89%-ით და ეს ქვეყნებია: კვიპროსი, ყაზახეთი, საუდის არაბეთი და ჩინეთი.
- საქართველო მეოთხე ჯგუფში მოხვდა თურქეთთან, ომანთან, მალაიზიასთან, ბახრეინსა და ტაილანდთან ერთად. ამ ექვსი ქვეყნის

ნორმატივთან მიახლოების დონე 75–79,8 %-ის ფარგლებში მერყეობს.

- შვიდი ქვეყანა (კუვეიტი, სომხეთი, ბრუნეი, უზბეკეთი, მონღოლეთი, ინდონეზია და კატარი) ნორმატივს უახლოვდება 71,5–74,8 %-ის ფარგლებში.

მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ აზიის რეგიონიდან არც ერთ ქვეყანას არა აქვს ელექტრონული მმართველობა EGDI ინდექსის ნორმატივის ტოლი [EGDI=1,000]. მასთან ყველაზე ახლოა კორეის რესპუბლიკა [EGDI=0,9529], ხოლო ყველაზე შორს – კატარი [EGDI=0,7149]. ამ საკითხში საქართველოს საშუალო პოზიცია უკავია [EGDI=0,7501] და ის დასავლეთ აზიის სუბრეგიონის ყველაზე მაღალრეიტინგულ ქვეყნების სიაშიც მოხვდა. დასავლეთ აზიის სუბრეგიონის სიაში EGDI ინდექსის ნორმატივთან ყველაზე ახლოა არაბთა ემირატები, ხოლო ყველაზე შორს – კატარი. საქართველოს მერვე პოზიცია უკავია და წინ უსწრებს კუვეიტს, სომხეთსა და კატარს. საქართველო ლიდერობს კავკასიის ქვერეგიონში, კერძოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში და წინ უსწრებს მეზობელ ქვეყნებს – სომხეთსა და აზერბაიჯანს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს EGDI-ის ინდექსი მზარდი გახდა 2012–2016 წლებში. 2010 წლის მონაცემი [EGDI=0.4248] – მეასე ადგილი 2016 წელს ჩანაცვლდა [0.6108] მნიშვნელობით და საქართველომ სარეიტინგო სიაში 61-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2018 წელს საქართველო მაღალი მაჩვენებლით [0,6893] მე-60 ადგილს იკავებდა 193 ქვეყანას შორის და შეფასდა +1 ზრდადობით. საქართველო რომ 2022 წელს დარჩენილიყო 2020 წლის დონეზე [0,7174], მაშინ მისი მოხვედრა EGDI ინდექსით აზიის რჩეულ ქვეყანათა სიაში საეჭვო იქნებოდა ან კატარის ადგილს დაიკავებდა. საქართველოს ადგილი EGDI-ის მსოფლიო სარეიტინგო სიაშიც ამ დრომდე დინამიკურია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ 193 სუვერენულ სახელმწიფოს შორის მას VHEGDI, ე.ი. ძალიან მაღალი მნიშვნელობის ჯგუფის ქვეჯგუფში V1 სარეიტინგო კლასი უკავია. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ის ქვეყნები, რომელთა EGDI მნიშვნელობები 0,75-დან 1,00-ის ჩათვლით მერყეობს.

TII, HCI, OSI, EGDI, WGI და სხვა საერთაშორისო ინდექსები ასახავს აზიის რეგიონის ქვეყნების ციფრული გარდაქმნების დონეს და რეიტინგებში ასახულია საქართველოს ადგილი ელექტრონული მმართველობის განვითარების პროცესში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დღესაც საშუალო პოზიცია უკავია, რადგან, 2022 წლის მონაცემით, მისი EGDI შეადგენდა 0,7501-ს და საერთო სარეიტინგო სიაში მესამოცე ადგილზე განთავსდა. მართალია, ეს საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია, თუმცა კარგია ის, რომ ამ მაჩვენებლითაც კი იგი მოხვდა ყველაზე მაღალი დონის მქონე აზიის ქვეყნების სიაში. ასე, რომ მართალია ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსით საქართველო აზიის ქვეყნებს შორის მოწინავეთა პირველ ათეულში არ შედის, მაგრამ ისიც დიდი მიღწევაა, რომ მას აზიის რჩეული ქვეყნების სიაში ელექტრონული მმართველობის ინდექსით მე-15 ადგილი უკავია. წარმატებად იმიტომ ვთვლით, რომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო მართალია დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, მაგრამ დაიწყო

შინაარსლილობები, მთავრობათა ხშირი ცვლა, ომები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან და წარმოიქმნა მრავალი სხვა სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა. იმ ვითარებაში, რაც დღეს საქართველოშია, ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსით აზიის ქვეყნებს შორის მისი მე-15 ადგილზე ყოფნა, ჩვენი აზრით, დიდი მიღწევაა.

დასკვნა

სახელმწიფო მმართველობის ელექტრონული გარდაქმნა მსოფლიოს ყველა რეგიონშია დაწყებული. ეს ეხება აზიის რეგიონსაც, რომელში საქართველოც შედის. 2022 წლის ინფორმაციით, აზიის ქვეყნებიდან 22 ქვეყანას აქვს ელექტრონული მმართველობის მაღალი EGDI ინდექსი, მათ შორის პირველია კორეის რესპუბლიკა, 22-ე კი – კატარი. ამ სიაში საქართველოს მე-15 ადგილი უკავია, რითაც იგი დასავლეთ აზიის სუბრეგიონში მე-8 პოზიციას იკავებს და ლიდერობს სამხრეთ კავკასიაში, რადგან წინ უსწრებს სომხეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოს ადგილი მსოფლიო რეიტინგებში ცხადყოფს, რომ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური სივრცეები მზადაა გარდაქმნებისთვის, რადგან მათ მიერვე მოწოდებული ინდექსები პროცესის მდგრად განვითარებას ადასტურებს. ამდენად, ზემომოყვანილი ინდექსების მაჩვენებელთა შეჯერებით შესაძლებელია პროცესის უფრო დინამიკურად წარმართვა და ამით ქვერეგიონში არა მხოლოდ ლიდერობის შენარჩუნება, არამედ ზრდა-განვითარება აზიის რეგიონის პირველ ათეულში მოსახვედრად.

ლიტერატურა

1. Davitashvili, Z. (2001). *Historical and political geography of the world.* Tbilisi, Georgia: "Pirveli Stamba".
2. Gil-Garcia, & J. Ramon. (2013). *E-Government Success Factors and Measures: Theories, Concepts, and Methodologies: Theories, Concepts, and Methodologies.* IGI Global.
3. *E-Government Survey 2022, The Future of Digital Government .* 2022. New York: United Nations Department of Economic and Social Affairs. https://publicadministration.un.org/.
4. Kardava, E., Gabisonia, Z., Gabrielashvili, G., Gagnidze , N., Paichadze, G., & Samadashvili, I. (2021). *Electronic Governance and Lidership.* Tbilisi, Georgia: Civil Service Bureau.

UDC 339.15
SCOPUS CODE 1404
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-46-54

Electronic Transformation of Governance in Asian Countries and Georgia's Place in this Process

Sofio Paliani Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: paliani.sopio22@gtu.ge

Reviewers:

N. Chikviladze, associate professor Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

N. Paresashvili, associate professor, Faculty of Economics and Business Administration, TSU
E-mail: Nino.paresashvili@tsu.ge

Abstract. The article - "Electronic transformation of governance in Asian countries and Georgia's place in this process" discusses the progress of electronic, aka digital transformation of management in Asian countries, including Georgia. The article uses the E-Government Development Index [EGDI], the norm of which is one integer [EGDI=1.1000].

The E-Government Development Index is an accurate source of social, political and economic research. Accordingly, it is the best indicator for measuring the levels of development and transformation. The article presents twenty-two countries in the Asian region that showed a high level of this index in 2020 and 2022, Georgia is among them. Georgia's E-Government Development Index in 2020 was 0.7174, and in 2022 - 0.7501. With this indicator, Georgia satisfied 71.7% of the E-Government Development Index norm in 2020, and 75% in 2022.

At the end of the article, the conclusion is made - the current indicator is dynamic and with this governance, Georgia is ahead of both Armenia and Azerbaijan.

Keywords: E-Government; Electronic Government Development Index; EGDI norm.

განხილვის თარიღი 04.10.2024
შემოსვლის თარიღი 27.12.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025